ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 10

ქ. თბილისი

05.08.2019

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

1. **დავით მალაზონია** - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ მასწავლებელი, საბჭოს თავმჯდომარე
2. **გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდ საერთაშორისო განათლების ცენტრის პროგრამების მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **თამილა ჩუბინიძე** - სსიპ - ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი, საბჭოს მდივანი
4. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი;
5. **დავით ჭეიშვილი** - სსიპ - ვაჟა ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის N 87 საჯარო სკოლის დირექტორი
6. **გელა მაჭარაშვილი** - სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N 2 საჯარო სკოლის დირექტორი
7. **თამარ მამსიკაშვილი** - სსიპ თბილისის N 64 საჯარო სკოლის დირექტორი.

8. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ განათლების პოლიტიკის დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე
9. **ნინო ჯანჯღავა** - ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის დირექტორი

2. **სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონსულტანტი.

რამაზი გიუნაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ნათია მჭედლიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანალიტიკოსი.

ლევან გოგიჩაიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს თბილისის არქიმედეს სკოლა

სკოლის წარმომადგენელი - ირაკლი მანელიძე

სკოლის წარმომადგენელი - მირიან სახელაშვილი

სკოლის წარმომადგენელი - დავით ლიპარტელიანი

ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა - ინტერნატი

სკოლის წარმომადგენელი - თეა სხირტლაძე

შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი

დირექტორი - ხათუნა კერესელიძე

დირექტორი - მარიამ გიორგაძე

იურისტი - თათია ზარქუა

შპს თბილისის თავისუფალი სკოლა

დირექტორი - ამირან ამბროლაძე

იურისტი - თათია ზარქუა

ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმინდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის სკოლა

სკოლის წარმომადგენელი - თეა მახათელაშვილი

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

შპს თბილისის არქიმედეს სკოლა

ნატო გაბოშვილი

ირმა ხუციშვილი

ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა - ინტერნატი

მაია ინასარიძე

იზაბელა იოსელიანი

შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი

ნელი ნასყიდაშვილი

ლელა ფიცხელაური

ლია კობესაშვილი

თეონა ყაჭეიშვილი

შპს თბილისის თავისუფალი სკოლა

პეტრე ბაბილუა

ნინო ვარდოსანიძე

ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმინდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა.

ნინო ბალანჩივაძე

თეონა ყაჭეიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე დავით მალაზონია.

სხდომა გაიხსნა 16:00 საათზე, საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. **შპს თბილისის არქიმედეს სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა**
2. **ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა - ინტერნატის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**
3. **შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპულ სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**
4. **შპს თბილისის თავისუფალი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**
5. **ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმინდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს თბილისის არქიმედეს სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს წევრმა დავით ჭეიშვილმა განაცხადა, რომ მას ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი შპს თბილისის არქიმედეს სკოლასთან დაკავშირებით, რის გამოც მოითხოვა აცილება. საბჭო დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნატო გაბოშვილმა და ირმა ხუციშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

1.1. ექსპერტ ნატო გაბოშვილის განცხადებით, შპს თბილისის არქიმედეს სკოლა განთავსებული იყო 3 სხვადასხვა ფართში.

პირველი ფართი მდებარეობდა ონიაშვილის ქუჩა N6 -ში, 510 კვ.მ მიწის ფართობზე დამაგრებულ, სამსართულიან შენობა-ნაგებობაში, რომლის საერთო ფართი იყო 855 კვ.მ. აღნიშნული ფართი იჯარით ჰქონდა აღებული სკოლას 2016 წლის 17 ივნისს. მისი მოქმედების ვადა იყო 2023 წლის 20 ივნისამდე.

ამავე შენობის პირველ სართულზე მდებარეობდა 1 საკლასო ოთახი, ადაპტირებული სველი წერტილი, საცურაო აუზი, სპორტული დარბაზი, დანარჩენ სართულებზეც განლაგებული იყო საკლასო ოთახები და სხვა დამხმარე კაბინეტები. თითქმის ყველა საკლასო ოთახს ჰქონდა ინდივიდუალური სველი წერტილი. სართულები ერთმანეთთან დაკავშირებული იყო შიდა კიბით.

მეორე მომიჯნავე ფართი 207,14 კვ.მ 20.07. 2018 წელს სკოლამ იჯარით აიღო ონიაშვილის N4-ში, მეიჯარე შპს „ლიდერი 2017"-სგან. ხელშეკრულება გაფორმებული იყო 5 წლის ვადით, და ძალაში იყო 2023 წლის ივნისის ჩათვლით. ფართი განთავსებული იყო მრავალსართულიანი კორპუსის პირველ სართულზე, სადაც იყო 2 საკლასო ოთახი , სველი წერტილი და კაფეტერია. ფართს ჰქონდა როგორც ცალკე შესასვლელი, ასევე შიდა ეზოს საშუალებით დაკავშირებული იყო პირველ ფართთან, რომელიც მდებარეობდა ონიაშვილის N6 -ში. ვიზიტის პერიოდში, სკოლაში სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობდა. როგორც ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, აღნიშნული ფართი გასულ წელს გამოყენებული იყო კაფეტერიისთვის, ასევე სხვა აქტივობებისთვის. რეესტრის ამონაწერით ირკვეოდა, რომ აღნიშნული ფართი მეიჯარის მიერ იპოთეკით იყო დატვირთული.

მესამე ფართი, რომელიც დაიმატა სკოლამ მიმდინარე წლის 2019 წლის 23 აპრილს, მდებარეობდა ქ. თბილისში, კანდელაკის N 39 -ში . რომლის საერთო ფართი იყო 578 კვ.მ. შენობა ნაგებობა მდებარეობდა 348 კვ. მ-ზე, ხოლო დანარჩენი მიწის ნაკვეთი გამოყენებული იყო სპორტული მოედნისა და შიდა ეზოსთვის. ორსართულიან შენობაში, ნახევრადსარდაფით, შიდა კიბით, თითოეულ სართულზე განლაგებული იყო საკლასო ოთახები, სველი წერტილები და სხვა დამხმარე ოთახები. ნახევრად სარდაფში სკოლას მოწყობილი ჰქონდა საბუნებისმეტყველო კლასების ლაბორატორია - აღჭურვილობით.

სკოლას აღნიშნული ფართი იჯარით ჰქონდა აღებული, გაფორმებული იყო იჯარის ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადა იყო 2026 წლის 1 აგვისტომდე.

საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რადგან სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებდა 3 სხვადასხვა ფართზე, როგორ აპირებდა სკოლა მოსწავლეების გადანაწილებას საფეხურების მიხედვით. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ზემოთ აღნიშნულ პირველ და მეორე ფართში სკოლა განახორციელებდა დაწყებითი და საბაზო საფეხურების სწავლებას, ხოლო მესამე ფართში საშუალო საფეხურის სწავლებას. საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მიმართა, ადასტურებდნენ, თუ არა რომ სკოლა შეძლებდა აღნიშნულ პირობებში მოსწავლეებისთვის სრულფასოვანი მომსახურების გაწევას, ექსპერტებმა განაცხადეს, რომ სკოლას შეეძლო ზემოთ ხსენებულ პირობებში სწავლების განხორციელება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები შპს თბილისის არქიმედეს სკოლასთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მიმართა, რამდენით სურდა სკოლას განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, ექსპერტებმა განაცხადეს, რომ სკოლას ავტორიზაცია ჰქონდა მიღებული 180 მოსწავლეზე და სურდა 180 მოსწავლის დამატება, სულ 360.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის არქიმედეს სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 360 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ავტროიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33 - ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მესამე პუნქტისა და 34 -ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის არქიმედეს სკოლას (ს/დ 405101562) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 360 - ით.

2. ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა - ინტერნატის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაია ინასარიძემ და იზაბელა იოსელიანმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

2.1. ექსპერტ მაია ინასარიძის განცხადებით დაწესებულება ახორციელებდა სწავლებას დაწყებით და საბაზო საფეხურებზე. მათ სურვილი იყო დაემატებინათ საშუალო საფეხური. ექსპერტის თქმით, სკოლაში მოსწავლეები სწავლობდნენ ყველა იმ საგანს, რომლებიც გათვალისწინებული იყო ეროვნული სასწავლო გეგმით. დამატებით სავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურებად სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში შეტანილი ჰქონდა ფოლკლორი. ძირითადად აქცენტი კეთდებოდა მუსიკალურ ფოლკლორზე, საეკლესიო საგალობლებსა და საღვთო სჯულზე. დამატებით სავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურებას განსაზღვრავდა, ერთი მხრივ, სკოლის სპეციფიკა, სკოლის მისიიდან გამომდინარე და მეორე მხრივ, მშობელთა დაკვეთა. ორივე საგანში სკოლას შედგენილი ჰქონდა პროგრამა, გაწერილი დროში და თემებად, რესურსების მითითებით. ასევე სკოლა სთავაზობდა მოსწავლეებს დამატებით სააღმზრდელო მომსახურებას - გახანგრძლივებულ სწავლებას, 17 საათამდე, მშობელთა განაცხადის შესაბამისად და არასავალდებულო დამატებით უფასო მომსახურებას საეკლესიო გალობასა და ქარგვაში.

სასკოლო სასწავლო გეგმის 2018-2019 წლის ვერსიაში სპორტის სახეობებად განსაზღვრული იყო: საბაზო საფეხურზე - ფეხბურთი, ბადმინტონი, კალათბურთი, ხოლო 2019-2020 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში სპორტის სახეობები ჩაშლილი იყო საფეხურების მიხედვით: I-VI კლასები – მოძრავი თამაშები, ფეხბურთი, ბადმინტონი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი,

მძლეოსნობა; საბაზო და საშუალო საფეხური: ფეხბურთი, ბადმინტონი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, მძლეოსნობა. ზოგადად, სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, არაფორმალურ განათლებას. სკოლაში ყველა პირობა იყო შექმნილი მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოსავლენად. ამას ადასტურებდა მათი წარმატებები სხვადასხვა სახის კონკურსებში, მაგალითად, კინგსის ოლიმპიადებში, დედოფლისწყაროს მოსწავლეთა სახლის მიერ ჩატარებულ ინტელექტუალურ შეჯიბრებებში, საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის მიერ ორგანიზებულ კონკურსებში, ქვეყნის მასშტაბით ხალხური სიმღერისა და გალობის კონკურსში და სხვა.

მშობლებთან, მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლა ზრუნავდა თითოეული მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ვერ გადიოდადა სასურველ შედეგზე, მასწავლებლები მასთან მუშაობდნენ ინდივიდუალურად არასაგაკვეთილო დროს.

სკოლაში შემუშავებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას, განსაზღვრული იყო ქულების დაანგარიშების წესი, სემესტრული შეფასების პრინციპები. დადგენილი იყო სასწავლო წლისა და საფეხურის დაძლევის მინიმალური ბარიერი და ამ ბარიერის ვერ გადალახვის შემთხვევაში მოსწავლისათვის დახმარების აღმოჩენის მექანიზმი. გამოცდები სკოლას არ ჰქონდა. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალე იყო, ყველა საკლასო ოთახში გამოკრული იყო შეფასების რუბრიკები საგნების მიხედვით. გარდა შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმისა, სკოლას შემუშავებული ჰქონდა შემაჯამებელი სამუშაოების სემესტრული ანალიზის ფორმაც, რომელიც კლასის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვებისა და შესაძლო პრობლემის დადგენის საშუალებას იძლეოდა. ყველა შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი მთავრდებოდა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებელი ღონისძიებების ჩამონათვალით.

საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, რა სახის შემაჯამებლებს ატარებდა სკოლა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლა ძირითადად შემოიფარგლებოდა ტესტური სახის შემაჯამებლებით. სკოლის ხელმძღვანელობას მიეცა რეკომენდაცია, გაემრავალფეროვნებინათ შემაჯამებელი სამუშაოების ფორმები და შემაჯამებელი სამუშაოს ტიპი აესახათ თემატურ გეგმებში.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

2.2. ექსპერტ მაია ინასარიძის განცხადებით სკოლას ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, კერძოდ: დაწესებულებას საქართველოს საპატრიარქოსგან უზუფრუქტის წესით 6 ნაწილად ჰქონდა გადაცემული მიწის ნაკვეთი 20 წლის ვადით, ერთ მისამართზე საერთო ფართით 17107 კვ. მ. მასზე განთავსებული 4 შენობა-ნაგებობით, რომლებსაც სკოლა იყენებდა სასწავლო მიზნებისთვის. N1 შენობა - განაშენიანების ფართი 852.22კვ.მ, საერთო ფართი - 601.21კვ.მ შიდა აზომვითი ნახაზების მიხედვით; N2 შენობა - განაშენიანების ფართი 1208.83კვ.მ, საერთო ფართი - 932.29კვ.მ, შიდა აზომვითი ნახაზების მიხედვით; N3 შენობა - განაშენიანების ფართი 1212.58კვ.მ, საერთო ფართი - 995.57 კვ.მ შიდა აზომვითი ნახაზების მიხედვით; N4 შენობა - განაშენიანების ფართი 615კვ.მ. მე - 4 შენობაში ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა შენობის ნაწილის დემონტაჟი, შენობის შიდა ფართის აზომვა მოხდებოდა დემონტაჟის დასრულების შემდეგ. აღნიშნულ შენობაში იგეგმებოდა ძალოსნობის დარბაზის მოწყობა, საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობდა 2 შენობაში. დასრულებული იყო N3 შენობის რემონტი და ახალი სასწავლო წლიდან იქ იგეგმებოდა საშუალო საფეხურის განთავსება. სკოლას ჰქონდა ერთი შესასვლელი, ეზო შემოსაზღვრული იყო მაღალი გალავნით.

ექსპერტის თქმით, სკოლას ჰქონდა ღია სპორტული მოედანი ბუნებრივი საფარით, კალათბურთის ფარებითა და ფეხბურთის კარებით, სკოლა აღჭურვილი იყო ყველა საჭირო სპორტული ინვენტარით, რომელიც გათვალისწინებული იყო სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სპორტის სახეობებისათვის. მესამე შენობაში მიმდინარეობდა დახურული სპორტული დარბაზის 0მოწყობა. ამჟამად დარბაზის გარე ფასადი დასრულებული იყო. ადმინისტრაციის განმარტებით,- 078654312„ა~ნიშნულ დარბაზში შიდა სარემონტო სამუშაოები 2019-2020 სასწავლო წლის დასაწყისისთვის ნაწილობრივ დასრულდებოდა. კერძოდ, მოპირკეთდებოდა დარბაზის იატაკი და კედლები. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა მისი გამოყენება უკვე სასწავლო წლის დასაწყისიდან, დარბაზის სრული ექსპლუატაცია კი იგეგმებოდა 2019 წლის დასასრულისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

2.3. ექსპერტ მაია ინასარიძის განცხადებით, სკოლას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის დაცვით. 124 მოსწავლეს ემსახურებოდა 22 მასწავლებელი, რომელთაგან ექვსს უფროსი მასწავლებლის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული, 14 პრაქტიკოსი იყო, 2 კი - მოწვეული. დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამებოდა მათ მიერ დაკავებულ თანამდებობებს, გარდა მოწვეული მასწავლებლებისა, რომელთა ადგილებზე ექსპერტთა ვიზიტის

პერიოდში დირექციამ გამოაცხადა ვაკანსია. როგორც დირექტორმა განაცხადა, მათ ადრეც ჰქონდათ გამოცხადებული ვაკანსია და აღნიშნულ ადგილზე არავის გამოუთქვამს მოსვლის სურვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 240 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან ა(ა)იპ წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა - ინტერნატის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა - ინტერნატის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 240 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის და 25-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა - ინტერნატს (ს/კ: 428518017) 6 წლის ვადით მიენიჭოს

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 240- ით.

3. შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპულ სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნელი ნასყიდაშვილმა, ლელა ფიცხელაურმა, ლია კობესაშვილმა და თეონა ყაჭეიშვილმა, მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

3.1. ექსპერტ ნელი ნასყიდაშვილის განცხადებით შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპულ სასწავლებელში მონიტორინგის განხორციელების საფუძველი იყო პროგრამა „ანი-Z"-ის სკოლის ორი მეექვსეკლასელი მოსწავლის მშობლის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისადმი მიწერილი წერილი.

სასწავლებელში დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემის, პასუხისმგებლობების გადანაწილებისა და თანამშრომლობითი ატმოსფეროს შექმნის ხელშეწყობის მიზნით შემუშავებული იყო მარეგულირებელი დოკუმენტები: სასწავლებლის შინაგანაწესი, სასწავლებლის დებულება, მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ (ჩართულობის) დებულება, სადამრიგებლო დებულება.

ექსპერტის თქმით, ინტერვიურებისა და დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ არ ხდებოდა შემუშავებული ნორმების პრაქტიკაში სრულყოფილად დანერგვა კონფლიქტში

მონაწილე ჯგუფებთან მიმართებაში. კერძოდ, დილით მოსწავლეების სკოლაში გამოცხადება/არ გამოცხადების აღრიცხვა სასწავლებლის სხვადასხვა პროგრამაზე სხვადასხვანაირად ხდებოდა. დოკუმენტურად პროცედურები გაწერილი არ იყო, რაც არ იძლეოდა მკაფიო წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რა დროს, როგორ ხდებოდა მოსწავლეთა აღრიცხვის შემოწმება და ამის შესახებ მშობლის ინფორმირება. ცალკეულ შემთხვევებში არ ხორციელდებოდა ჟურნალებში მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვა.

საბჭოს წევრმა დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას აუცილებლად უნდა ჰქონოდა გაწერილი მექანიზმები, და ზემოაღნიშნული პრობლემის შემთხვევაში ემოქმედა მექანიზმების შესაბამისად.

საბჭოს წევრმა დავით ჭეიშვილმა სკოლის წარმომადგენელს მიმართა შეკითხვით, თუ როგორ მოქმედებდა სკოლა, როდესაც მოსწავლე არ ესწრებოდა გაკვეთილებს? სკოლის წარმომადგენლის თქმით, სკოლა მშობელს მომენტალურად ატყობინებდა, თუ მოსწავლე აცდენდა გაკვეთლს.

ექსპერტ ნელი ნასყიდაშვილის განცხადებით მოსწავლეებთან ინტერვიუირებით ირკვეოდა, რომ რიგ შემთხვევაში, გარემო არ იყო კეთილგანწყობილი, რასაც ხელს უწყობდა ცალკეული შემთხვევები. მასწავლებლის მიერ მოსწავლის ქულებით შეფასებისას დისციპლინის გათვალისწინება. ექსპერტის თქმით, ერთი მშობელი რომელმაც ცენტრს წერილი მისწერა, წერდა, რომ დირექტორმა მოსწავლე გაკვეთილიდან გამოიყვანა და ფანჯრის რაფების წმენდა დაავალა, რაც ბავშვისთვის იყო დამამცირებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენელს სთხოვა განმარტება აღნიშნულთან დაკავშირებით.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ზემოაღნიშნული მოსწავლე გაკვეთილზე გამოცხადდა წიგნების და რვეულების გარეშე და ცდილობდა გაკვეთილის ჩაშლას, რის გამოც დირექტორმა მიიღო გადაწყვეტილება მოსწავლე გაერიდებინა გაკვეთილიდან და ამასთანავე გარკვეულწილად დაესაჯა.

საბჭოს წევრმა დავით ჭეიშვილმა სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რომ სკოლას უფლება არ ჰქონდა მოსწავლისთვის დაევალებინა ფანჯრის რაფების გაწმენდა და ეს საქციელი მიუთითებდა იმაზე, რომ სკოლას ჰქონდა პრობლემები მოსწავლეებთან ურთიერთობის კუთხით.

ექსპერტ ნელი ნასყიდაშვილის თქმით მეორე მშობელი წერილში აღნიშნავდა, რომ მისი შვილი, რომელიც იყო წარმატებული მოჭადრაკე, მოხსნეს ჭადრაკის ტურნირიდან იმის გამო, რომ უნებართვოდ დატოვა სკოლის ტერიტორია.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოსწავლე ხშირად არღვევდა წესრიგს სკოლაში სხადასხვა ვითარებაში და მას სკოლის დირექტორი ხშირად მოუწოდებდა წესრიგის დაცვისკენ. ექსპერტის თქმით, ზემოაღნიშნულ მოსწავლეებსა და იმავე კლასის სხვა მოსწავლეებს შორის ადრე არსებობდა კონფლიქტი, რაც გადაიზარდა მშობლებს შორის კონფლიქტში. კონფლიქტში მონაწილე ერთ-ერთი მშობელი ამავდროულად იყო სკოლის თანამშრომელი.

საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენელს სთხოვა განმარტება აღნიშნულთან დაკავშირებით.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოსწავლეები იყვნენ მე- 6 კლასში, აღნიშნული კი მოხდა მე - 4 კლასში, როდესაც მომჩივანი მშობლის შვილმა, მასწავლებლის შვილ მოსწავლეს ჩაარტყა კალამი, რის შემდეგაც დაზარალებულის მშობელმა გაიყვანა კონფლიქტში მონაწილე მოსწავლე და დაელაპარაკა აღნიშნულ საკითხზე, რასაც მოჰყვა მეორე მშობლის რეაქცია და მოითხოვა მასწავლებლის სკოლიდან გათავისუფლებას. სკოლამ დისციპლინური სახდელი დაუწესა მასწავლებელს და საყვედური გამოუცხადა. მშობელმა მასწავლებელმა მოგვიანებით გადაიყვანა შვილები სხვა სკოლაში, რადგან კონფლიქტი არ გაგრძელებულიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, ნათელი იყო, რომ დაწესებულებას პრობლემები ჰქონდა მოსწავლეებთან ურთიერთობის მხრივ და აუცილებელი იყო ამ კუთხით ემუშავა და გაეთვალისწინებინა ექსპერტთა რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 1

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

ავტორიზაციის ექპერტთა ჯგუფის დასკვნის და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელის (ს/კ:404901406) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

4. შპს თავისუფალი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, პეტრე ბაბილუამ და ნინო ვარდოსანიძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

4.1.ექსპერტ პეტრე ბაბილუას განცხადებით, შპს თავისუფალმა სკოლამ ავტორიზაცია გაიარა 2018 წელს მხოლოდ დაწყებით საფეხურზე. წელს კი გადაწყვიტა საბაზო საფეხურის დამატება. სკოლას საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით ხარვეზები არ გააჩნდა. მისი თქმით, სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან და შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას.

სკოლაში იყო ხუთი საგნობრივი კათედრა: ქართული ენისა და ლიტერატურის და საზოგადოებრივი მეცნიერების; უცხოური ენების; ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა; სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის; დაწყებითი კლასების. კათედრებს ჰქონდათ გაწერილი სამუშაო წლიური გეგმები, რომელთა მიხედვითაც თითოეულ კათედრაზე მიმდინარეობდა ერთობლივი მიზნების შემუშავება და შედეგების მონიტორინგი. სკოლაში კათედრები ასევე უზრუნველყოფდნენ მასწავლებლების ურთიერთდასწრებას მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, ერთობლივად განიხილავდნენ და გეგმავდნენ გაკვეთილებს, პროექტებსა და სხვადასხვა ღონისძიებას. კათედრის პორტფოლიოებში წარმოდგენილი იყო კათედრის

სამუშაო გეგმები, სხდომების ოქმები, გაკვეთილების ანალიზები, შეფასების რუბრიკები და მათ მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშები. მასწავლებლებმა წარმოადგინეს ასევე, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ნიმუშები, ანალიზის ფორმები საკმაოდ დეტალური იყო და მოცემული იყო კონკრეტული შემაჯამებელი წერის თითოეული საკითხის ანალიზი, როგორც მთელი კლასის ჭრილში ასევე კონკრეტული მოსწავლის ჭრილში. თითოეულ ფორმაში მოცემული იყო აღწერითი სტატისტიკის ძირითადი მახასიათებლები. გარდა მიმდინარე შემაჯამებლების ანალიზისა ასევე მოცემული იყო სემესტრული ანალიზის ფორმები, რომლებშიც წეამოდგენილი იყო კონკრეტული კლასის მიერ საგნობრივი სტანდარტის დაფარვის ანალიზი. კათედრის სხდომის ოქმებიდან ჩანს, რომ მასწავლებლები კარგად იცნობდნენ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საფეხურის მოთხოვნებს, საგნობრივ სტანდარტებს კლასების მიხედვით და გაცნობიერებული ჰქონდათ თითოეული კლასის ბოლოს რა ცოდნა და უნარები უნდა ჰქონოდათ მოსწავლეებს, როგორ უნდა ემუშავათ, რა სწავლების მეთოდები და შეფასების ინსტრუმენტები უნდა გამოეყენებინათ სასწავლო მიზნების მისაღწევად.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

4.2. ექსპერტ პეტრე ბაბილუას განცხადებით შპს თბილისის თავისუფალი სკოლა მდებარეობდა შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №240. სკოლა განთავსებული იყო ოთხსართულიანი შენობის პირველ სამ სართულზე. სკოლას გაფორმებული ჰქონდა საიჯარო ხელშეკრულება შენობის მესაკუთრე შპს „აგრომეტთან" 2033 წლის 1 სექტემბრამდე.

2018 წლის 16 აპრილს გაფორმებულ საიჯარო ხელშეკრულებაში დაფიქსირებული იყო საიჯარო ფართი 3303 კვ.მ, ხოლო ახალ საიჯარო ხელშეკრულებაში, რომელიც დადებული იყო 2019 წლის 14 ივნისს საიჯარო ფართი იყო 4033 კვ.მ.

დაწესებულებაში იყო სკოლამდელი აღზრდის ჯგუფები, რომელსაც ეკავა მე-2 სართულის ორი ოთახი. მას ჰქონდა იზოლირებული შემოსასვლელი, მაგრამ არ იყო გამიჯნული საერთო სასკოლო სივრცისგან. დაწესებულების ხელმძღვანელის განმარტებით შენობის პირველ სართულზე მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, სადაც იგეგმებოდა სკოლამდელი აღზრდის ჯგუფების გადატანა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე, რომელიც იზოლირებული იქნებოდა სკოლის საერთო სივრციდან.

საბჭოს სხდომაზე სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლამდელი აღზრდის ჯგუფები გადატანილი იყო შენობის პირველ სართულზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

4.3. ექსპერტ პეტრე ბაბილუას განცხადებით, სკოლის დირექტორის ბრძანებების მიხედვით, სკოლაში 85 თანამშრომელი იყო. დირექცია, ადმინისტრაცია, ტექნიკური პერსონალი, საგნის პედაგოგები. დირექციას წარმოადგენდა დირექტორი, ხოლო ადმინისტრაციის წევრები იყვნენ: დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ დარგში, ხარისხის მართვის მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი, კანცლერი (სამეურნეო მენეჯერი), დირექტორის ადმინისტრაციული მენეჯერი, ადმინისტრაციული რესურსების მართვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ტრანსპორტირების მენეჯერი, მშობლებთან ურთიერთობის მენეჯერი, ექიმი, ფსიქოლოგი, ქსელის ადმინისტრატორი, ბიბლიოთეკარი, ივენთების მენეჯერი, უსაფრთხოების მენეჯერი, იურისტი. სკოლის ტექნიკური პერსონალი იყო: დამლაგებელი, დაცვა, სამზარეულოს მენეჯერი, მოლარე, მზარეული, მზარეულის დამხმარე, ჭურჭლის მრეცხავი. სკოლაში საგნის 39 პედაგოგი იყო. მათგან 12 ამავე დროს დამრიგებელი იყო. სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი იყვნენ ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლის მასწავლებელთაგან 1-ს წამყვანი მასწავლებლის სტატუსი ჰქონდა, 26-ს - უფროსი მასწავლებლის, ხოლო 4-ს პრაქტიკოსი მასწავლებლის.

8 მასწავლებელს არ ჰქონდა სტატუსი. მათ შორის 4 იყო დოქტორის ხარისხის მქონე, 3-თან იყო გაფორმებული პირობითი ხელშეკრულება და 1 იყო მოწვეული მასწავლებელი. ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰქონდა გამოცხადებული კონკურსი მასწავლებლის 5 ვაკანტურ ადგილზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 560 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს თავისუფალი სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თავისუფალი სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 560 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის და 25-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალ სკოლას (ს/კ: 430024939) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი და საბაზო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 560 - ით.

5. ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმინდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნინო ბალანჩივაძემ და თეონა ყაჭეიშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად. სხდომას ასევე ესწრებოდა სკოლის წარმომადგენელი, კერძოდ, დირექტორის მოადგილე - თეა მახათელაშვილი, რომელმაც წარმოადგინა ოფიციალური დოკუმენტი - მინდობილობა.

5.1 ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა სკოლაში არსებულ სუსტ და ძლიერ მხარეებზე, მისი თქმით, ვიზიტის პერიოდში სკოლის ადმინისტრაციამ წარმოადგინა 2018-2019 სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც დაწესებულებაში მიმდინარეობს 12-წლიანი სწავლება, თუმცა მიმდინარე სასწავლო წელს სასწავლო პროცესი ხორციელდებოდა მხოლოდ დაწყებით და საბაზო საფეხურზე. ადმინისტრაციის განმარტებით, სასწავლო პროცესის გაცდენის შემთხვევაში მოსწავლეთა მშობლებს განემარტათ ექსტერნის გამოცდების ჩაბარების აუცილებლობის შესახებ, რამაც გამოიწვია მშობელთა უკმაყოფილება და აღნიშნული გარემოება გახდა საშუალო საფეხურიდან მოსწავლეთა გადინების საფუძველი. აქედან გამომდინარე, მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდა თითქმის 45 პროცენტამდე. ექსპერტის განმარტებით, სკოლაში მესამე საფეხურისათვის სასასწავლო პროცესის აღდგენა იგეგმება 2019-2020 წლისათვის, რადგან ახალი სასწავლო წლიდან მათ აუცილებლად ეყოლებათ X კლასის მოსწავლეები. სკოლაში ვიზიტის დოს დადგინდა, რომ ისტ - ს გაკვეთილები ატარებდა მხოლოდ თეორიულ ხასიათს, ხოლო პრაქტიკულ ცოდნას მოსწავლეები სახლში იძენდნენ. მოსწავლეებიც და ისტ - ს მასწავლებელიც ადასტურებდნენ, რომ გაკვეთილები მიმდინარეობდა ჩვეულებრივ კლასებში საინფორმაციო ტექნიკის გამოყენების გარეშე, რაც ნინო ბალანჩივაძის განცხადებით, სტანდარტით განსაზღვრული შედეგის მიღწევას ეჭქვეშ აყენებდა. მან აღნიშნა, რომ ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე კომპიუტერების რაოდენობა არასაკმარისი იყო და თანაც დაზიანებული. გადმოგზავნილი მასალებით ირკვევა, რომ სკოლამ გამოასწორა აღნიშნული ხარვეზი, მათ შეიძინეს ახალი კომპიუტერები და სათანადოდ აღჭურვეს ისტ - ის ოთახი. რაც შეეხება სასკოლო გეგმას, მას ჰქონდა ერთიანი სახე, მაგრამ რიგი საკითხები პირდაპირ იყო გადმოტანილი ეროვნული სასწავლო გეგმიდან. აღნიშნულთან დაკავშირებით

სკოლას მიეცა რეკომენდაცია.

რაც შეეხება გამოცდების ჩატარებას, სასკოლო სასწავლო გეგმით ვერ დგინდება საერთოდ ტარდება თუ არა გამოცდები სკოლაში. აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად სკოლის ადმინისტრაციამ გამოსცა ბრძანება სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილებების განსახორციელებლად. სკოლაში სპორტის სტანდარტი დარღვეული იყო, ვინაიდან არ ჩანდა სასკოლო სასწავლო გეგმით, სპორტის რომელი სახეობა ტარდებოდა სკოლაში, მაგრამ დირექციასთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მათ შერჩეული ჰქონდათ ფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი. მოსწავლეებთან ინტერვიუირებით კი დგინდება, რომ სპორტის გაკვეთილზე მათ ხან კალათბურთი, ხან მაგიდის ჩოგბურთი და ხან ჭადრაკი უტარდებოდათ. ექსპერტის განმარტებით, სპორტის დარბაზი სკოლის შენობაში არ იყო, თუმცა გადმოგზავნილი მასალებიდან შვედური კედელი აღმართული იყო, ინვენტარიც შეძენილი ჰქონდათ, სკოლას კი უნდა ააენებინა ცალკე შენობა ეზოში, სადაც განათავსებდნენ სპორტულ დარბაზს, სკოლას კი ეს ყველაფერი რაც უნდა დაეფიქსირებინა სტრატეგიულ გეგმაში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში შემაჯამებელი დავალება არის ტესტური სახის, ინდიკატორები და სტანდარტები არეულია და არ არის ერთმანეთთან თანხვედრაში, მაგრამ პარალელურად სკოლა იყენებს ქართულში დაწყებითი კლასებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების კათედრაზე - ესეს, წაკითხულის გააზრებასა და ტექსტის რედაქტირებას. ექსპერტის განმარტებით, სკოლაში მონიტორინგის მექანიზმები შემუშავებულია, ამის შედეგად სკოლის ადმინისტრაცია მივიდა სწორედ იმ დასკვნამდე რომ მათ უნდა შეცვალონ მიდგომა სასწავლო პროცესისადმი. რაც შეეხება ლაბორატორიას, სკოლას იგი გააჩნია, მაგრამ დასტურდება, რომ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას იშვიათია, სხვადასხვა მიზნობრივი ცდის ჩატარების პრაქტიკა. სპეციალური ქიმიკატები სკოლას შეძენილი არ აქვს, რაც არ დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.

5.2 ექსპერტ ნინო ბალანჩივაძის განცხადებით ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმინდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მდებარეობდა შემდეგ მისამართზე: მდებარეობს ქალაქ თელავში, ფალიაშვილის ქუჩა N28-ში. დაწესებულების შენობა ორსართულიანია, შენობა-ნაგებობაში განთავსებულია ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალის, საკლასო და კლასის განაყოფის ოთახები. კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, სატრაპეზო. სკოლის პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა აქტივობის გასახორციელებელი სივრცეები.

სასწავლო პროგრამის მიხედვით სპორტის სახეობებად განსაზღვრულია: ჭადრაკი, ფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი;

სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად სკოლას აქვს ღია სივრცე ფართით 77 კვ. მეტრი სკოლის შენობის პირველი სართულის შესასვლელში (არ აქვს კარი და ფანჯრები). სპორტის

გაკვეთილებისათვის სკოლის ადმინისტრაციას დაწყებული აქვს სკოლის შესასვლელში სარეაბილიტაციო სამუშაოები - დაგებულია იატაკზე ახალი საფარი. დაწესებულების მენეჯმენტით განსაზღვრულია სპორტის გაკვეთილებისათვის სივრცის სრული მოწყობა / გარემონტება მომავალ სასწავლო წლამდე, ზაფხულის პერიოში.

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სპორტის გაკვეთილებისათვის განსაზღვრულ ადგილას ორი ცალი შვედური კედლები ჰქონდათ, თუმცა არ იყო დამონტაჟებული.

სკოლას აქვს მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილებისათვის განსაზღვრული ინვენტარი (ჩოგბურთის მაგიდა, ბადე, ჩოგნები და ბურთები), ამასთანავე, ჭადრაკის რამდენიმე დაფა და სხვადასხვა ტიპის ბურთები.

დაწყებით საფეხურზე ფიზ./აღზრდის ჩატარებისთვის სკოლას არ გააჩნია სათანადო სპორტული ინვენტარი: მაგალითად: ჰულა-ჰუპები, კეგლები, რეზინის ბურთები; სპორტული ლეიბი, ბაგირი, ჯებირები, სპორტული ძელი და სხვა..

სკოლას სპორტის გაკვეთილებისათვის, გარდა შიდა ღია სივრცისა, განსაზღვრული აქვს ეზო, სადაც ერთი კალათბურთის ფარია დადგმული. აქვე ტარდება არჩეული სპორტის ერთ-ერთი სახეობა - ფეხბურთი, თუმცა ფეხბურთის კარები სკოლას არ გააჩნია.

სკოლის წარმომადგენლის, თეა მახათელაშვილის განმარტებით, უსახსრობის გამო სკოლამ დროულად ვერ შეძლო სპორტული დარბაზისა და სტადიონის მოწყობა, თუმცა ვიზიტის დროს უკვე მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და ახალი სასწავლო წლისთვის სასწავლებელს ექნებოდა განახლებული ღია სტადიონი და სპორტული სივრცე.

ექსპერტმა, ნინო ბალანჩივაძემ აღნიშნა, რომ სასწავლებელში ბიბლიოთეკა მეორე სართულზე მდებარეობდა. ბიბლიოთეკას ჰქონდა ბუნებირივი განათება, სამკითხველო სივრცე. გამოკრული იყო ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და სამუშაო საათები. ბიბლიოთეკაში იყო განთავსებული მხატვრული ლიტერატურა და გრიფირებული სახელმძღვანელოები.

თუმცა, ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი შემთხვევითი წესით შერჩეული წიგნებიდან და გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან არცერთი არ იყო სათანადო წესით გაფორმებული, არ იყო ბუღალტერიაშიც გადაცემული წიგნადი ფონდი, ბიბლიოთეკაში იყო ლეპტოპი, მაგრამ მას ინტერნეტი არ მიეწოდებოდა. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით მომავალი სასწავლო წლიდან დაწესებულებას გადაწყვეტილი აქვს პირველ სართულზე ახალი სამკითხველო დარბაზისა და ბილიოთეკის მოწყობა, ექსპერტების ვიზიტის დროს პირველადი სარემონტო სამუშაოები ჩატარებული იყო, რაც თავად ექსპერტებმაც დაადასტურეს.

ექსპერთმა ისიც აღინიშნა, რომ სკოლის ვებ-გვერდია: www.alaverdischool.org.ge, რომელიც ვერ ასრულებდა საინფორმაციო საკომუნიკაციო ფუნქციას, ვინაიდან ერთ წელზე მეტია არ ფუნქციონირებდა. თუმცა დომენის თანხა ყოველთვიურად სკოლას გადახდილი აქვს; სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით სკოლის დომენის ჰოსტინგს ახორციელებდა „კავკასუს ონლაინი", რომელიც გადავიდა მაგთის მფლობელობაში. მას შემდეგ სკოლის ვებგვერდს შეექმნა პრობლემა, რომლის მოგვარებაც, სამწუხაროდ, ვიზიტის პერიოდში ვერ მოხერხდა.

დაწესებულებას სულ ჰქონდა 12 კომპიუტერი (მათგან ოთხი ადმინისტრაციისათვის არის განკუთვნილი) და ერთი ლეპტოპი. ისტ-ს კაბინეტში ინდივიდუალურ მაგიდებზე განლაგებულია 10-ზე მეტი კომპიუტერი, მაგრამ მათგან მუშა მდგომარეობაშია მხოლოდ 8 კომპიუტერი. რვავე ჩართულია ინტერნეტში. სკოლას ასევე აქვს ერთი პროექტორი და 4 კომბინირებული პრინტერი.

სკოლის წარმომადგენლიმა აღნიშნა რომ დაზიანებული კომპიუტერები შეაკეთეს და ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება რამდენიმე კომპიუტერის შესყიდვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

5.3. რაც შეეხება ადამიანურ რესურსს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მართვის საინფორმაციო სისტემის e-school - ის მიხედვით სკოლაში ირიცხებოდა 122 მოსწავლე. სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად სკოლაში იყო შესაბამისი რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე რესურსი, კერძოდ, სკოლაში დასაქმებული იყო 39 თანამშრომელი, რომელთა შორის 31 პედაგოგი იყო, 2 ადმინისტრატორი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო პროცესის კოორდინატორი საქმისმწარმოებელი, სამეურნეო ნაწილის გამგე, ინფომენეჯერი, ბიბლიოთეკარი და ბიბლიოთეკარი; ტექნიკური პერსონალი: მომმარაგებელი, ტრაპეზარი, სამი დამლაგებელი.

პედაგოგთა პირადი საქმეების დათვალიერებით, მასწავლებლებს უდასტურდებათ კვალიფიკაცია იმ საგანში, რომელსაც ასწავლიან. სკოლაში დასაქმებულ 31 პედაგოგთა შორის, 13 უფროსი, 18 პრაქტიკოსი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმინდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ავტორიზაციის გაუქმების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 1

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

ავტორიზაციის ექპერტთა ჯგუფის დასკვნის და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმინდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახელობის

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში (ს/კ:231284277) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

თავმჯდომარე

დავით მალაზონია

მდივანი

თამილა ჩუბინიძე